საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-371

29/03/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიას“ მარშრუტის ცვლილებაზე (446-ე ანძიდან 459-ე ანძამდე) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 23 თებერვალს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა.

2013 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ენერგოტრანსის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიას“ მარშრუტის ცვლილებაზე (446-ე ანძიდან 459-ე ანძამდე) გაიცა №15 (11.04.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და შპს „ენერგოტრანსის“ მომართვის საფუძველზე, 2021 წლის 2 თებერვალს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-164 ბრძანება „შპს „ენერგოტრანსის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიას“ მარშრუტის ცვლილებაზე (446-ე ანძიდან 459-ე ანძამდე) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 21 იანვარს განხორციელდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შპს „ენერგოტრანსის“ შერწყმა-მიერთება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განისაზღვრა შპს „ენერგოტრანსის“ სამართალმემკვიდრედ, რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიას“ მარშრუტის ცვლილებაზე (446-ე ანძიდან 459-ე ანძამდე) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 2 თებერვლის №2-164 ბრძანება „შპს „ენერგოტრანსის“ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ვარძიას“ მარშრუტის

ცვლილებაზე (446-ე ანძიდან 459-ე ანძამდე) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული №15 (11.04.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი